ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №184165

ნომერი: AR152228

თარიღი : 18.05.2012

გაცემის თარიღი : 25.05.2012

გაცნობის თარიღი : 28.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი , ბაზართან არსებული უნივერსამის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი რაზმაძე პ/ნ 01003015668
- მუხიანი, II მრ, I კორპ. ბ-178

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

პირველი კლასის 2 ცალი სკულპტურული ქანდაკების განთავსების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიღმის მასივი, ბაზართან არსებული უნივერსამის მიმდებარედ, შპს "ჯორჯია 444"-ის კუთვნილ შენობაზე 2 ცალი სკულპტურული ქანდაკების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს "ჯორჯია 444"-ის საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882011436756 14.09.2011წ. საკადასტრო კოდი #01.13.03.023.001, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიღმის მასივი, ბაზართან არსებული უნივერსამის მიმდებარედ, შპს "ჯორჯია 444"-ის კუთვნილ შენობაზე 2 ცალი სკულპტურული ქანდაკების განთავსების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge